№ 163
კვირა, 10 აგვისტო 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 163
კვირა, 10 აგვისტო 1897 წ.

** გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველ აგვისტოდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია“ ჰღირს 5 მან. 50 კაპ.

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთექვსმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1897—8 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორიც და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9 სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ავთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—127—12)

## რედაქციისაგან

ვაცნობებთ იმ ხელის-მომწერელთ, რომელთაც შარშან პირველ იანვრიდგან მთელის წლით გამოიწერეს და თუმანი წარმოადგინეს, რომ გაზეთი მოესპობათ ამ აგვისტოს დამლევს. ვისაც ჰსურს ამ 1897 წლის დამლევამდე ეგზავნებოდეს გაზეთი, თუმანს უნდა დაუმატონ კიდევ 3 მან. 33 კაპ.

### პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

**ე. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაშეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობს.

საღამოობით:

**ა. მ. პუდინოვი.** 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(წ)

წმ. ნინოს სახელობაზედ დაარსებულ საქველ-მოქმედო საზოგადოების თელავის განყოფილების გამგეობა ამითი აცხადებს, რომ **მისაღები ეგზამენები** თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში დანიშნულია 1 **სექტემბრისათვის.** თხოვნა და არზა ამ სასწავლებელში შესვლის შესახებ უნდა დაიწეროს ამა გამგეობის სახელობაზედ და ამასთან დართული ჰქონდეს მოწმობა ანუ ამოწერილობა წლოვანების დავთრიდგან (მეტრიკა) და მოწმობა მკურნალისა ყვავილის აცრის შესახებ.

მსურველთ შეუძლიანთ ისწავლონ ფრანგული ენა და მუსიკაც, მხოლოდ ამ საგნების სწავლებისათვის განსაკუთრებული სასყიდელი გარდახდებათ.

სრულის ხარჯით შემოსულთ გარდახდებათ 180 მან., ნახევარის ხარჯით შემოსულთ—90 მან., ხოლო გარედგან მოსიარულეთ—30 მან. წელიწადში.

კურსი პროგიმნაზიულია.

(3—უ.—2)

ტფილისი, 9 აგვისტო

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ერთი ახალი კანონი, რომლითაც არა მცირეოდენი შეღავათი ეძლევა ჩვენში, როგორც სასწავლებლების აგებისა, ისე იმათის შენახვის საქმეს. ეს ახალი კანონი ის არის, რომ მთავრობამ ნება დართო სახელმწიფო ტყიდგან საშენობო მასალით ისარგებლონ სასწავლებლების ახალ შენობათა აგებისა და ძველთა შეკეთების დროს და აგრეთვე ამავე სასწავლებელთ უსასყიდლოდ დაეთმოთ ფიჩხი და ხმელი შეშა სათბობად ზამთარში.

სიკეთესა და სარგებლობას ამ ახალის კანონისას ყველა ადვილად წარმოიდგენს, ვინც გაიხსენებს, რა დიდად უჭირდება სოფელს სასწავლებლის აგება უფულობისა და უსახსრობის გამო. რასაკვირველია, მარტო ხე-ტყით სასწავლებლის შენობა არ აშენდება, მაგრამ ის გარემოება, რომ ამიერიდგან ეს მასალა უსასყიდლოდ მიეცემათ სასწავლებლებს, იმათის შენობის აგებას საკმაოდ გააადვილებს. ვისაც ჩვენის სოფლის სასწავლებლები უნახავს, შენიშნავდა, რომ მრავალი მათგანი საბრალო მდგომარეობაშია, თავზედ ჭერი დოლპობია და წვიმიანს დღეს ხშირად მოსწავლეთა სამყოფელს ოთახში წვიმა ჩადის. ამიერიდგან სხვენ-ჭერის გამოცვლა და ასეთ შენობათა შეკეთება უოვლად ადვილად მოსახერხებელი იქმნება და თავს არ წამოეჭყოფს ის საკითხი, რომ შეძლება არა გვაქვს, ფული არ მოგვეპოვებაო.

რაც შეეხება გასათბობად შეშის უსასყიდლოდ ძლევას, რასაკვირველია, არც ამას აქვს მცირე მნიშვნელობა. ჩვენი მამასახლისები და სოფლის ხელ-ჯოხიანები, რომელნიც მოვალენი არიან სასწავლებლები საჭირო შეშის მხრივ უზრუნველ ჰყონ, უფრო დედინაცვლობას უწევენ ამ სასწავლებლებს, ვიდრე დედობას და ბევრჯელ სუსხიანს ზამთარში საცოდავნი ბავშვნი სიცივით ისე არიან გაცრეცილ-აკანკალებულნი, რომ კალამის ხელში აღება ვერ მოუხერხებიათ. ისეთს გარემოებაში, სადაც მოსწავლენი სიცივით ერთმანეთს მიჰკვრიან და მასწავლებელი, უაბალახით თავ-პირ წაბურული, სჩქარობს გაკვეთილის დაბოლავებას, განა სწავლა სწავლასა ჰგავს, და ან წესიერი სწავლა-კი შეიძლება?!. ჩვენ თითონ ვყოფილვართ მოწმე, რომ სოფლის სასწავლებლის მასწავლებელი ქალი, გაუმთბარს ოთახში ცხოვრებისა გამო, გაუციებია და იძულებული ყოფილა ბავშვთა დათხოვნას, სწავლის შეჩერებას.

ეს ახალი კანონი თუ სახეში ვიქონიეთ, სახელმწიფოს ტყეთა სიმრავლე თითქმის ყველგან ჩვენში, რაღა თქმა უნდა, სასწავლებლებს ამ გაჭირვებას აიცილებს, ამ გარეგანს დაბრკოლებას მოაშორებს და სწავლის საქმეს ერთი არა მცირედი ხელის შემშლელი მიზეზი მოაკლდება.

ანი

## ფელეტონი

**ნაწყვეტი**

ასცილდი, ღრანტო ხევ-ხუვო,
ნუ აგვიანებ წყაროსა,
დე, თავისუფლად, თამამად
იდინოს, იჩანჩქაროსა,
მიმოეფინოს მიდამოს,
აამოს, გაახაროსა,
თორემ უწყლობამ ლამის ვარდს
კოკორი დაუმჭკნაროსა!..

ვ. თ—შვილი

**ახალი ხუნაგი**

მარკ ტვენი

(ეს ამბავი მისტერ მაკ ვილიამსმა მიამბო, პატივცემულმა ჯენტლმენმა, რომელიც მოგზაურობის დროს გავიცანი).

—

საზარელი დრო დაგვიდგა ერთხელ, ჩემო ბატონო; საშინელი სენი გვეწვია—ხუნაგი. რამდენი ბავშვი გამოასალმა წუთი-სოფელს, რამდენი დედა აატირა!

ერთხელ ჩემის ცოლის ყურადღება მივაქციე ჩვენს პატარა პენელოპას:

— ჩემო კარგო,—ვუთხარი ცოლს,—მგონია, კარგი იქმნება დაუშალო, ბავშვს ის ფიჭვის ჩხირი რომ ჩაუდვია პირში.

— ე, ღმერთო ჩემო! რა იყო მერე? მიპასუხა ცოლმა. უნდა მოგახსენოთ-კი, რომ ვიდრე ამ სიტყვებს ვიტყოდი, თითონვე აპირებდა ჩხირის წართმევას, მაგრამ... ხომ მოგეხსენებათ, სამართლიანად რომ შენიშნო რამ, ქალი არ მოგითმენთ, ესე იგი ცოლი, უნდა მეთქვა.

— ჩემო კარგო, განვაგრძე მე—ყველამ კარგად იცის, რომ ფიჭვი ვერაფერი სასარგებლო საჭმელია...

ჩემს ცოლს ხელი უკვე გაწვდენილი ჰქონდა ჩხირის წასართმევად, მაგრამ ჩემი სიტყვები ძლიერ ეწყინა.

— სისულელეა! შენ ვითომ ყველაფერი იცი. მკურნალები ამტკიცებენ, რომ ფიჭვის წებო სასარგებლოა იმ ბავშვებისთვის, ვისაც სუსტი წელი აქვს ან კიდევ თირკმელები აქვს დაავადებული.

— ჰო! მაშ უკაცრავად. ბოდიშს ვიხდი. მე არ ვიცოდი, რომ ჩვენს ბავშვს თირკმელები და წელი ჰქონია დაავადებული და მკურნალმა გირჩია...

— მერე ვინ გითხრა, რომ ბავშვს თირკმელები და წელი სტკივა?

— ეხლა არა სთქვი, რომ...

— რასა ჩმახავ! სრულებითაც არ მითქვამს.

— ჩემო კარგო, სულ ორი წუთიც არ გასულა, რაც მითხარი...

— კმარა! ჩემის სიტყვების გადასხვაფერება ნუ იცი, მე მხოლოდ ის უნდა მეთქვა—დიდი უბედურება არ მოხდება, რომ ბავშვმა ფიჭვის ჩხირი ჩაიდოს პირში. გესმის?

— ჰო, ეხლა-კი მივხვდი. რაკი ეგრეა, წავალ და ერთს კონა ფიჩხს მოვატანინებ ფიჭვისას. რადგანაც ეგრე სასარგებლო ყოფილა...

— თავი დამანებე, თუ ღმერთი გწამს. წადი კანტორაში, შენს საქმეზე. კაცი ერთს სიტყვას ვერ გეტყვის, მაშინვე კუდი უნდა გამოაბა ხოლმე.

— კარგი, მივდივარ, მაგრამ ამასკი გეტყვი, რომ შენი მსჯელობა მოკლებულია გონიერებას, ლოღიკას...

ცოლმა ყური აღარ მათხოვა. წავიდა და ბავშვიც თან წაიყვანა. საღამოთი რომ შინ მოველ სადილად, გაფითრებული დამხვდა.

— ოჰ, მორტიმერ, კიდევ ერთი მსხვერპლი! პატარა ჯორჯ გორდონი ავად გახდა..

— ხუნაგით?

— ჰო, ხუნაგით!

— იმედი რამ არის გადარჩენისა?

— არავითარი. ოჰ, ღმერთო ჩემო, რა გვეშველება!

საღამოთი გადიამ პენელოპა შემოიყვანა. ბავშვი დედის კალთაში იჯდა და საღამოს ლოცვას კითხულობდა. ლოცვის დროს ბავშვს დაახველა. ჩემი ცოლი გაფითრდა და სავარძელში გადაესვენა, მეხ-დაცემულსავით. მაგრამ იმ წამსვე წამოდგა და ფაცა-ფუცს შეუდგა. შიშით არ იცოდა, რა ექმნა.

ჯერ ბრძანება გასცა,—ბავშვის აკვანი ჩვენს საწოლ ოთახში შემოეტანათ და თითონ წავიდა, რომ ეს ბრძანება რაც შეიძლება მალე ასრულებულიყო. მეც, რაღა თქმა უნდა, თან წამიყვანა. აკვანი ამოვიტანეთ. ჩემის ცოლის ოთახში გადიას დავუგეთ ლოგინი. უეცრად ქ-ნ მაკ ვილიამსმა მოისაზრა, რომ მეორე ბავშვი ჩვენზედ მოშორებულია; მერე იმასაც რომ დაახველოს ღამე! საბრალო დედა კიდევ გაფითრდა.

მაშინ აკვანი ისევ ქვემოდ ჩავიტანეთ, გადიაც იქ გადავიყვანეთ და ჩვენც იქ დავბინავდით.

— მეორე ბავშვსაც რომ გადაედოს ხუნაგი? იფიქრა ჩემმა ცოლმა. ამ ფიქრმა ისევ თავ-ზარი დასცა. წავედით ყველანი და აკვანი ისევ ზემოდ ამოვიტანეთ.

მერე ისევ ქვემოდ ჩავედით, მაგრამ იქ ადგილი არ იყო გადიასთვის

# ახალი ამბავი

—

⁂ სახაზინო თეატრის დირექციის შუამდგომლობისა თანახმად, კავკასიის მთავარ მართებელს ნება დაურთავს, რომ კერძო განცხადებები მიიღოს ხოლმე და სახაზინო თეატრის აფიშებში ჰბეჭდოს.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში, რომელიც 2 სექტემბერს წავა დუშეთს საქმეების განსახილველად, მონაწილეობას იღებენ: სასამართლოს წევრი ა. ი. ბოგაევსკი, რომელიც თავმჯდომარეობას გასწევს და სასამართლოს წევრივე ა. ვ. პადალკო.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა მოსთხოვა მაზრის უფროსებს ცნობები უფასო სამკითხველოების და წიგნთსაცავების შესახებ, რომლებიც ყოველს მაზრებშია დაარსებული. აგრეთვე უნდა შეატყობინონ, რომელი როდისაა დაარსებული და რა ფასია დადებული.

⁂ კავკასიის სამკურნალო ოლქის მმართველობამ ამ დღეებში გაგზავნა გორისა, დუშეთისა თიონეთისა და თელავის მაზრებში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ინსპექტორად დანიშნული ბეითალი ბ-ნი კრიდნერი და დაავალა დაათვალიეროს ის ადგილები, სადაც-კი საქონლის ჭირი გაჩენილა. ბ-ნმა კრიდნერმა გასინჯა ეს ადგილები და სთქვა, რომ საგუბერნიო ადმინისტრაციის მიერ დროზედ საჭირო ღონისძიებათა მიღების წყალობით საქონლის ჭირმა ძლიერ იკლო და ძნელად თუ კიდევ გავრცელდესო. ამ დღეებში ბ-ნი კრიდნერი ტფილისის გუბერნიის სხვა ადგილებშიაც წავა, სადაც-კი საქონლის ჭირი აღმოჩენილა.

⁂ ტფილისის დედათა პირველ გიმნაზიაში მისაღები და განმეორებითი ეგზამენები იქნება 25, 26, 27 და 28 აგვისტოს. ამავე დღეებში შეიძლება თხოვნების შეტანა გიმნაზიასთან დაარსებულს მოსამზადებელ სასწავლებელში მოსწავლეების მიღების შესახებ.

⁂ გუშინ-წინ, 8 აგვისტოს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდლის მიერ პანაშვიდი იქმნა გარდახდილი ბანკის დირექტორად ნამყოფის, აწ განსვენებულის თავ. დ. ი. ავალიშვილის სულის მოსახსენებლად. გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის წევრთ გარდა, პანაშვიდს დაესწრნენ ბანკის წევრნი დამფუძნებელნი და მესესხებელნიც.

⁂ ტფილისის ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა საქონლის ჭირთან ბრძოლის შესახებ ქალაქის გამგეობის მიერ აღნიშნული საშუალებანი თავისის მოხსენებით ტფილისის გუბერნატორს წარუდგინა. გამგეობას დაუდგენია: 1) საჭირო სადეზინფექციო საშუალებანი ქალაქის ხარჯით ეძლიოს, ქალაქის ხარჯითვე გაიტანონ და დაფლან ხოლმე ჭირით დახოცილი საქონელი და საქონლის ჭირთან საბრძოლველად ქალაქის ბეითალს შეინ-ფოგელს ქალაქის ბეითალი მელქუმოვი და ერთიც ფერშალი დაეხმაროს; 2) ხარჯისათვის ქალაქის საგანგებო კრედიტს მიჰმართონ; 3) ყოველივე ზემოდ მოხსენებული ქალაქის საბჭოს წარუდგინოს მახლობელს სხდომაზედ გარდასაწყვეტად და საგანგებო კრედიტი იქმნას გამოთხოვნილი, და 4) ეს დადგენილება დაუყოვნებლივ იქმნას შესრულებული, რადგანაც საქონლის ჭირთან ბრძოლა მალე უნდა დაიწყონ.

⁂ ამ ბოლოს დროს ცხინვალისაკენ და ერთობ მთელის გორის მაზრაში ხალხი შიშისაგან თურმე ილევა რამდენისამე ყაჩაღ ოსის გამო. ეს ვაჟბატონები ყველგან უშიშრად და მოურიდებლად დაიარებიან, ვისთანაც რამ ეგულებათ, წერილებს უგზავნიან და ფულს, ან სანოვაგეს სთხოვენ.

საკვირველია, ნუ თუ იმოდენი ძალა აღარა აქვს ადგილობრივს პოლიციას, რომ შეიპყრას როგორმე და ხალხს მოსვენება ეღირსოს? ან იქნება იმას ელიან, რომ ხალხი იმსხვერპლონ? მაშინ გვიან-ღა იქნება და მათი დაჭერაც უფრო საძნელო იქნება. დღეს-კი თითქმის სულ ერთსა და იმავე ადგილებში ჰბუდობენ და, თუ მოისურვებენ, ხელთ ადვილად იგდებენ. აი, ამიტომ უკიჟინებენ ხოლმე რუსეთის გაზეთები ადგილობრივს პოლიციას უვარგისობას...

⁂ როგორც სოფ. რუისიდგან გვატყობინებენ, საქონელს თურქული გამოსჩენია. ამ წელს პურის მოსავალი მეტად ნაკლები ყოფილა, ვენახები დასეტყვილია და გვალვისა გამო სიმინდებიც მეტად ცუდს მდგომარეობაშია თურმე.

⁂ ქართლის ზოგიერთს სოფელში ხშირმა წვიმებმა მუშაობა შეაფერხა, კალოები უცდებათ. ამ ბოლოს დროს თითქმის ყველგან აგრილდა.

⁂ როგორც ქუთაისიდგან გვატყობინებენ, სიმინდის ფასს აუწევია. ფუთი სიმინდი ახლა 50 კ. ჰფასობს. ამბობენ, ამისი მიზეზი ის არის, რომ საზღვარ-გარეთიდგან თხოულობენ სიმინდსო.

⁂ გაზ. „ცნ. ფურც.“-ს სწერენ, რომ გურიაში კვათის საზოგადოებას სამს აგვისტოს თავი მოუყრია და ბოქაულის თავ. ვ. ს. აბაშიძის ჩაგონებით გარდაუწყვეტია, რომ დღეის შემდეგ სამგლოვიარო ტირილი სრულიად მოსპონ შეუძლებელთათვის. ტირილის გამართვის ნება მხოლოდ იმას ექნება, ვინც შეძლებულია, მაგრამ იგიც უნდა სცდილობდეს შეძლების და გვარად ერიდოს ამ მაზარალებელს ჩვეულებას.

⁂ როგორც გაზ. „კავკაზს“ გაუგონია, შუამდგომლობა თურმე დაუწყიათ, რომ ახმეტის სოფლის საზოგადოებაში მყოფი საიჯარადრო მიწები ამავე სოფლის, ახმეტის, მცხოვრებთ მიეცეთ საჯარო ვაჭრობის დაუნიშნველად.

⁂ ახალ სენაკი. აქ ორის წლის წინად, აწ განსვენებულ ბლაღოჩინის ნ. კალანდარიშვილის მეთაურობით, შეუდგნენ ეკკლესიის აშენებას და მუშაობაც კარგად მიდიოდა, რომ ულმობელს სიკვდილს ამ ბლაღოჩინისთვის ბოლო არ მოეღო. გარდაიცვალა ბლაღოჩინი, დასტოვა ეკკლესიის კედლები ოთხის ადლის სიმაღლეზედ აყვანილი და იმის შემდეგ კაცის ხელი არ მიჰკარებია. ვისიც ჯერ არს, კარგს იზამს ყურადღებას მიაქცევდეს და ღიად დატოვებულს საკარე ადგილებს ააჭედვინებდეს ფიცრით, თორემ ეს სალოცავი ადგილი საბინძუროდ არის გადაქცეული. რადგან აქაურ მემამულეთა და ვაჭართა ერთად ერთი საინტერესო—საყანთროს გადათრევ-გადმოთრევის საქმე სასურველად დაბოლოვდა, იმედი გვაქვს, ეხლა მაინც თავიანთს გავლენას და სიმდიდრეს უფრო სასარგებლო საქმეს მოახმარებენ და ეკკლესიის აშენებისთვის იზრუნებენ, თორემ მიყრუებულ სოფლებში მცხოვრებ გაღატაკებულ გლეხებს აქვთ რიგიანი ეკკლესია და აქაურ თავადებს-კი არა.

⁂ კვირას, 10 აგვისტოს, „ნაძალადევის“ სახალხო თეატრში ბ-ნ ვ. აბაშიძის და ივ. მჭედლიშვილის მონაწილეობით ქართული სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“ და „მათიკო“, მესამე მოქმედება ავ. ცაგარლისა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ი. მჭედლიშვილისა და ზ. კვესაძისაგან შემდგარი ხორო.

## საზაფხულო საპედაგოგიო კურსები ქ. ტფილისში.

—

მორიგი ლექცია ბ-ნ. ი. ი. ფერაძის მიერ წაკითხულ იქმნა ქართველთათვის რუსულის ენის ფრიად საჭიროებისა და მის ნამდვილ პედაგოგიურ ნიადაგზედ დამყარების შესახებ. „ერის ცხოვრებაში არის ისეთი ხანა, რომელიც შეადგენს ხალხის სულსა და გულს, მითი სცოცხლობს ერი, მასში ჰპოვებს ნიშანს თვისის აღორძინებისას, კეთილ დღეობისასა და ბედნიერებისას. ასეთი დრო მრავალ-ტანჯულს ქართველს ერს სარწმუნოებისა და ძვირფასის მამულისათვის ბევრი უნახავს. ერთი ამ წუთთაგანი საქართველოს დაუდგა იმ დროიდგან, როდესაც იგი შეეფარა ძლევა-მოსილ რუსეთის სამეფოს დროშას. ასეთი დიდ მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა, როგორიც არის საქართველოს შეერთება, უცბად არა ხდება, იგი მზადდება დიდის ხნიდგან ისტორიულ-მოვლენათა მიხედვით. ჩვენში ასეთ ისტორიულ საბუთს სავსებით გვიხატავს პოეტი ვახტანგ-ორბელიანი თვისს ლექსში: „ირაკლი და მისი დრო“. ამასვე განმარტავს პოეტი ბარათაშვილი „საქართველოს ბედ-იღბალში“. შეერთების შემდეგ საქართველოს ცხოვრება მჭიდროდ შეუკავშირდა რუსეთის ცხოვრებას და ამიტომ ჩვენთვის ყოვლად საჭიროა რუსულის ენის შესწავლა და მისი ნამდვილ პედაგოგიურ ნიადაგზედ დამყარება.

რუსულის ენის სწავლება უნდა სრულდებოდეს თვალ-საჩინო საშუალებით და დედა-ენის დახმარებით. თვალ-საჩინო საშუალებად ითვლება ყველა ის, რაც ბავშვთა ხუთსავე გრძნობაზედ ჰმოქმედობს. ბავშვის გონებრივი განვითარება იწყება გრძნობათა ზედმოქმედებით. რუსულის ენის სწავლების სასურველ ნიადაგზედ დამყარება მხოლოდ დედა-ენის დახმარებით შეიძლება. დედა-ენაზედ ბავშვთ უადვილდებათ თითქმის ყველა კრიმანჭულის აზრის გამოთქმა. თარგმნით ბავშვი განყენებით სჯას საუცხოვოდ ითვისებს. ერთი უკეთესი საშუალება რუსულ ენის შესწავლისა არის რუსულის ენის მწყობრობის შეთანხმება დედა-ენასთან. ასეთი შეთანხმება ჰხდება რუსულის ქართულად და ქართულის რუსულად თარგმნის დროს. ასე სწავლება რუსულის ენისა იქნება მკვიდრი და საფუძვლიანი. პირველი სწავლება ლექსიურ გაკვეთილებით სწარმოებს, საპროგრამო გეგმის თანახმად, რომელიც დამტკიცებულ იქმნა უწ. სინოდის მიერ სამრევლო სკოლათა სახელმძღვანელოდ 1885 წელს, ლექსიურ გაკვეთილების შემდეგ, ი. ი. მეორე წელიწადს, უნდა ისწავლებოდეს რუსული ან-ბანი ხმოვანის მეთოდის მოთხოვნილებათა მიხედვით. პირველად ისწავლება ის ხმები, რომელიც გამოთქმით დედა-ენაზედ ნასწავლ ხმებს წააგავს. პირველ წიგნად რუსულ ენის სასწავლებლად ქართველთათვის აღიარებულია ბ-ნ ი. გოგებაშვილის „Русское Слово“, პირველი ნაწილი, და განსაგრძობად მისივე „Русское Слово“, მეორე ნაწილი. ამ წიგნთა ღირსების შესახებ

---

და გადია კი თვისის გამოცდილებით, ქ-ნ მაკ ვილიამსის ფიქრით, მეტად სასარგებლო ადამიანი იყო. ხელ-ახლავ ჩვენს საწოლს ოთახში გადავსახლდით.

ქ-ნმა მაკ ვილიამსმა ერთხელ კიდევ ჩაირბინა ქვემოდ, მეორე ბავშვს დაჰხედა და შეწუხებული ამოვიდა.

— ნეტავი ვიცოდე, რადა სძინავს ისე მაგრა ჩვენს ბების?

— ბების ყოველთვის მაგრა სძინავს, ჩემო კარგო!

— ვიცი, ვიცი; მაგრამ ეხლა რაღაც სხვაფრივა სძინავს. მე ისე... ისე... რაღაც ნაირად სუნთქვას. ოჰ, ღმერთო ჩემო, საშინელებაა! მერე ბების გადია ძლიერ ახალგაზდაა, გამოუცდელი. მოდი მარიამი იქ ჩავგზავნოთ, ვინ იცის, ღამე იქმნება რა მოხდეს.

— ეგ კარგი ფიქრია. მაგრამ აქ ვინ დაგეხმარება?

— შენ დამეხმარები. თუმცა ასეთს დროს მე არავის მივცემ ნებას ჩემს საქმეში გაერიოს.

მე ვუპასუხე, სინიდისი არ მომცემს ნებას, რომ არხეინად დავიძინო, როდესაც ვიცი, რომ შენ იტანჯებიმეთქი და ავადმყოფთან მთელ ღამეს უნდა იჯდე, მაგრამ ცოლმა დამამშვიდა და მითხრა — არა უშავს რაო. ამ გვარად, მოხუცი გადია ისევ თავისს ადგილას გავგზავნეთ, მეორე ბავშვთან.

პატარა პენელოპას კიდევ ორჯერ დაახველა ძილში.

— ღმერთო ჩემო, მკურნალი რადა იქმნა აქამდე? მორტიმერ, აქ ძლიერა ცხელა, ჩქარა ბუხარს აჰხადე.

ეს ბრძანება ავასრულე და თანაც ტერმომეტრს შევხედე. 16 გრადუსი სითბო იყო. ძლიერ გამიკვირდა, რადა ჰგონია ჩემს ცოლს, რომ ძლიერა ცხელა.

ამ დროს დაბრუნდა გაგზავნილი კაცი და მოგვახსენა, რომ ჩვენი მკურნალი ავად გაჰხდარა და წევსო. ქ-მა მაკ ვილიამსმა შიშით დამაშტერა თვალები და აღელვებულის ხმით მითხრა:

— ეს ბედის წერაა. ასე ინება განგებამ! მკურნილი აქამდე ჯერ ავად არა ყოფილა არასდროს! ეს იმიტომ, მორტიმერ, რომ ღმერთს ვაწყენინეთ. ისე არა ვსცხოვრობდით, როგორც რიგია. აი, ღმერთიცა გვსჯის. ჩვენი ბავშვი აღარ მორჩება. ეს არ გვეპატიება, არა!

მე შევნიშნე, რაც შეიძლება ფრთხილად, რომ არ მეწყენინებინა, რომ ჩემის აზრით, არც ისე ცოდვილნი ვართ და საიმისო არაფერი დაგვიშავებია.

— მორტიმერ! ნუ თუ ის გინდა, რომ ღმერთმა მეორე ბავშვიც წაგვართვას?

საბრალო ქალი ქვითინს მოჰყვა და თვალ-ცრემლიანმა წამოიძახა:

— წამალი მაინც გამოეგზავნა იმ დალოცვილს!

— გამოგზავნა; აი წამალი. მე მხოლოდ ველოდდი, ლაპარაკი გაგეთავებინა და მეთქვა...

— მოიტა ჩქარა წამალი! განა არ იცი, რომ 'თითო წამი ძვირფასია ეხლა? მაგრამ, რას უშველის წამალი, როდესაც ეს სენი ულმობელია!

მე ვუპასუხე, რომ ადამიანმა იმედი არასდროს არ უნდა გადიწყვიტოს.

— იმედი! შენ ისე ლაპარაკობ, მორტიმერ, თითქოს ბავშვი იყო!. წამალს აწერია, საათში პატარა კოვზი დაალევინეთო! ღმერთო, თითქოს ასი წელი გვედოს წინ! თუ ღმერთი გწამს, მორტიმერ, დაალევინე ერთი დიდი კოვზი წამალი მაგ საცოდავს, უბედურს არსებას!

— მგონია პატარა კოვზიცა კმარა...

— ნუ გამომიყვანე მოთმინებიდგან!.. აჰა, დალიე, ჩემო ანგელოზო, ჩემო სიცოცხლევ; ეს საძაგელი, მწარე წამალია, მაგრამ ჩემს საყვარელს ანგელოზს უშველის! დალიე, გენაცვალე! აი ეგრე! ეხლა დაიძინე... ოჰ, ვიცი, რომ გათენებამდე ვერ მიაღწევს! მორტიმერ, მოდი საათში ორი დიდი კოვზი წამალი დავალევინოთ... კარგია, ბელადონაც მივცეთ... აკონიტიც... მოიტა წამლები, მორტიმერ... თუ ღმერთი გწამს, ნურაფერში ამიხირდები. შენ არაფერი გაგეგება!

ბოლოს, როგორც იყო, დავწექით. ჩემმა ცოლმა აკვანი თავთ დაიდგა. ამ ამბავმა ძლიერ დამღალა. ორს წუთს არ გაუვლია, რომ ჩამთვლიმა. ქ-ნმა მაკ ვილიამსმა იმ წამსვე გამაღვიძა.

— მორტიმერ, ბუხარს დახურე?

— არა.

— მე-კი არ ვიცი! დახურე გეთაყვა: როგორღაც აცივდა.

ბუხარს დავხურე და ისევ ჩამეძინა. დიდხანს არ დამცალდა ძილი.

— მორტიმერ, გეთაყვა, აკვანი შენთან გადასდგი, ბუხრისაკენ, ძლიერა ცივა.

აკვანი გადავდგი, მაგრამ ფეხი წამოვდე ხალიჩას და ბავშვი გამოვაღვიძე. ისევ ჩამთვლიმა, მინამ ცოლი ბავშვს აძინებდა. ძილში ხმა მომესმა:

— მორტიმერ, ამბობენ, ბატის ქონი ძლიერა ჰრგებსო; დარეკე, გეთაყვა.

წამოვხტი ნამძინარევი და კატას ფეხი დავადგი. მოჰყვა საცოდავად

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი რასა სწერს რედაქცია სამეცნიერო ჟურნალისა „Филологическая библіотека“: „იშვიათად შევხვდებით რუსულ ენის შესასწავლად სხვა-და-სხვა სახელმძღვანელოს შორის ესეთ საუცხოო, მშვენივრად და მართლა ნიჭიერად შედგენილს სახელმძღვანელოს, როგორიც არის „Русское Слово“. ი. გოგებაშვილისა. უმთავრესი ღირსება „Рус. Слов.“ მასალის შინაარსიანობაა და უფრო-კი თან და თანობის სავსებით დაცვა“.

სანიმუშო გაკვეთილები იყო სადმრთო სჯულისა და რუსულის ენისა. გარჩევამ ჩინებულად სცნო რუსულ ენის სანიმუშო გაკვეთილი, რომელიც ჰქონდათ მასწავლებელ ქალსა და კაცს ნახევარ-ნახევარის საათის განმავლობაში. გარჩევის დროს ლაპარაკი ალიძრა იმის შესახებ, თუ რამდენად სასურველია მოთხრობის მოკლე შინაარსი წინდაწინვე გაეცნოთ ბავშვთ და შემდეგ დაწვრილებით იქმნას იგი განხილული? ეს ფრიად საყურადღებო საგანი უკამათოდ უკუგდებულ იქმნა. ჩვენის ფიქრით, ეს საგანი ფრიად სასარგებლოა და ჯეროვანს ყურადღებასაც თხოულობდა, ვიდრე მათ მიაქციეს. ჩვენის აზრით, რაც უნდა არ იცოდეს რუსული ენა ბავშვმა (ჩვენ მხედველობაში გვყავს მეორე და მესამე განყოფილება), მოთხრობის მოკლე შინაარსის შეთვისება მაინც შეუძლიან, რა თქმა უნდა, მასწავლებლის დახმარებით. თუ ბავშვმა შინაარსი იცის, უცნობ სიტყვათა მნიშვნელობას ადვილად მიხვდება, ესეც რომ არ იყოს, რაკი მასწავლებელი ერთხელ ეტყვის, ადვილად დაიხსომებს. ამითი სწავლის საქმე მასწავლებელსაც უადვილდება და მოსწავლესაც.

მ—შვილი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ამ ოთხის წლის წინად „ივერიაში“ დაიბეჭდა წერილი ბ-ნის მეველესი, თავად-აზნაურთა სოფლის მამასახლისებად არჩევის შესახებ. სამეცნიერო გაზეთს „კვალს“ და მეცნიერთა მეცნიერს გ. წერეთელს ეს წერილი არ მოეწონა და კრიტიკა გამოაცხო. გავიდა ოთხი წელიწადი და იმავე სამეცნიერო გაზეთმა მეცნიერის გ. წერეთლის კალმით აუწყა ქვეყანას, რომ თავად-აზნაურების არჩევით მამასახლისებად ჩვენმა ერმა ერთი ნაბიჯი წინ წასდგაო.

საჭიროდ მიგვაჩნია აქვე მოვიყვანოთ, რასა ჰბრძანებდა გ. წერეთელი ამ ოთხის წლის წინად და რას ამბობს ეხლა.

| „კვალი“ 93 წ. № 52. | „კვალი“ 97 წ. № 31. |
|---|---|
| „მაშინ, როდესაც წოდებათა სიძულვილს და განხეთქილებას ასეთი ღრმა საძირკველი აქვს და მთელი განათლებული(ს) კაცობრიობის ჭკუა-გონება მიქცეულია ამ სენის მოსასპობლად, გამოდის ბ-ნი მეველე და მოწინავე სტატიით „ივერიაში“ გვიქადაგებს, რომ სოფლებში მამასახლისებად რაკი თავადები და აზნაურები დავიყენეთო, ამით უკვე ზედმიწევნით დაუახლოვდნენ ერთმანერთს თავად-აზნაურობა და გლეხობაო. სწორე მოგახსენოთ, მკითხველო, ძალიან უებარს წამალს მისდგომია ბ-ნი მეველე უდიდესის კაცობრიობის სენის (უეჭველია გ. წერეთელს უნდა ეთქვა: კაცობრიობის უდიდესის სენის) მოსასპობლად. რამდენიმე თავადი და აზნაური რომ მამასახლისებად ამოირჩიონ სოფელში, ნუ თუ მართლა ამითი მოისპობა ეკონომიური და იურიდიული განხეთქილება, რომელიც სუფევს გლეხთა და თავად-აზნაურთა შორის?“ | „მაგრამ ამას გარდა მეორე საქმეც გამოიწყო (?) იმან (თ. გ. დ. შარვაშიძემ) თავის ღ(გ)უბერნატორობაში. რაკი ის დარწმუნდა, რომ განუვითარებელი სოფლის მამასახლისები და საზოგადოთ(დ) სოფლის მოხელობა ვერ ემსახურებიან (მოხელობა ემსახურებიან?) გლეხობას და მათგან, როგორც მთავრობას, ისე გლეხობას (,) დიდი მავნებლობა და მწუხარება ადგიათ, თ. გ. დ. შარვაშიძემ განიზრახა, რომ სოფელს განვითარებული სოფლის მოხელეები დაუნიშნოს, თავად-აზნაურობა დაა(ა)ხლოვოს გლეხობასთან (ქართველი კაცი იტყვის: დაუახლოვოს გლეხობას) და იმათგან ამორჩეული განვითარებული კაცები დააყენოს სოფლის მოხელეებათ(დ). ამ სახით მან ერთი ნაბიჯი წინ წაადგმევინა ჩვენს ერს...“ |

ხომ თქვენის ბედნიერის თვალით დაინახეთ მკითხველო, რასა ჰბრძანებდა გ. წერეთელი ამ ოთხის წლის წინად და რას ამბობს ეხლა. საკვირველ არს, „კვალო“ და გ. წერეთელო, სიტყვანი თქვენნი! ნეტა ვიცოდეთ, რომელი „სტატია“ არის თქვენ მიერ გულ-წრფელად დაწერილი: 93 წელს, თუ ეხლა, 97 წელს? თუ ამ ოთხის წლის განმავლობაში თვით მეცნიერმა გ. წერეთელმა წინ წასდგა ნაბიჯი და უარჰყო უწინ გამოთქმული აზრი?..

## რუსეთი

დედათა უმაღლეს კურსებზედ შემსვლელთათვის საკონკურსო გამოცდა 14 აგვისტოს დაიწყება, ხოლო სწავლა—15 სექტემბერს.

— ამ სამოსწავლო წლიდგან ქ. ყაზანში საშუალო საქიმიკო-ტეხნიკური სასწავლებელი იქმნება დაარსებული. ამ სასწავლებელში მხოლოდ ისინა მიიღებიან, ვისაც რეალურ ან სხვა რომელისამე საშუალო სასწავლებლის ხუთი კლასი ექმნება შესრულებული. გამოსაცდელი ეგზამენები მხოლოდ ზოგიერთ საგნიდგან ექმნებათ იმათ, ვისაც რეალურს სასწავლებელში არ უსწავლია.

— საფრანგეთის პრეზიდენტს ბ-ნს ფელიქს ფორს რუსეთში წამოსვლის დროს მხოლოდ ხუთი მსახური ახლდება: ელისეის სასახლის მსახური, კამერდინერი, კურიერი და ორიც ხელზედ მოსამსახურე.

— საბაჟო გარდასახადთა დეპარტამენტმა ამ დღეებში საბაჟო ოლქების უფროსებსა და გამგეთ მიწერილობა გაუგზავნა, რომ ავეჯეულობისა და შესავალ-გასავლის წიგნები საზოგადო საანგარიშო წესდების მოთხოვნილებისამებრ აწარმოვონ ხოლმე და შეცდომებს ერიდონ. ამასთანავე დღეის შემდეგ საბაჟო დაწესებულებათ უფლება არა აქვთ ძველი საანგარიშო წიგნები ახლებით შესცვალონ, ვიდრე მთავრობა არ მისცემს ამის ნებას.

— შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, სამრევლო-საეკკლესიო და წერა-კითხვის სკოლების სამაზრო საეპარქიო მზრუნველებს ნება ეძლევათ სამსახურის შესახებ კორესპონდენციები უფასოდ ჰგზავნონ ხოლმე ფოსტით.

## უცხოეთი

**ოსმალეთი.** მოლაპარაკება ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის ზავის დადების შესახებ თითქმის დასრულდა და ევროპის სახელმწიფოთ ეგონათ, ეს არის მოვარიგეთ ყოველივე საქმე ბოლკანეთის კუნძულზედ, რომ დეპეშებმა ამბავი მოიტანა კონსტანტინეპოლში აფეთქების შესახებ. აფეთქება მოახდინეს რამდენსამე ადგილას და, მართალია, დიდი ზარალი არ მიუყენებიათ— მხოლოდ ერთი კაცი მოკვდა და ორი დაიჭრა,—მაგრამ ხალხი მაინც ძალიან შეშინდა და დუქნებ-მაღაზიები თითქმის ყველა დაიკეტა. აფეთქება მოახდინეს, როგორც ოფიციალური დეპეშა იუწყება კონსტანტინეპოლიდგან, სომხებმა და ამით, ცოტა არ იყოს მართლდება ის ხმა, რომ სომხებს აზრადა აქვს წელსაც, როგორც შარშან, არეულობა და უწესოება მოახდინონ და ასეთის საქციელით აიძულონ ოსმალეთის მთავრობა, რომ მან ყურადღება მიაქციოს სომხებს და განახორციელოს ყოველივე მათი სურვილი. აშკარაა, როდესაც სომხებმა ასეთ საშვალებას—ყუმბარების აფეთქებას—მიჰმართეს, საქმე ერთი ორად უფრო გამწვავდება და ოსმალეთის მთავრობას ბევრი მეცადინეობა და შრომა დასჭირდება, რომ თავისს სახელმწიფოში მყუდროება და მშვიდობიანობა დაამყაროს. მართალია, ოსმალეთის მთავრობა მეტად გონიერად მოიქცა, რომ პროვინციის ვალისა და უფროსებს მისწერა, თვალ-ყური გეჭიროთ, ხალხმა არავითარი ძალ-მომრეობა არ იხმაროს სომხების წინააღმდეგაო, მაგრამ, როგორც ეტყობა, სომხებიც აღარა ჰხუმრობენ და საქმე მარტო ამ აფეთქებით არ დასრულდება. ასეა თუ ისე, ევროპას ხელ-ახლა მოუხდება მიაქციოს თავისი ყურადღება ოსმალეთს და, თუ არ უნდა, რომ საქმე გაძნელდეს და გაორკეცდეს, როგორმე უნდა მოარიგოს სომხების საქმე.

**ინდოეთი.** არა ნაკლები არეულობა ხდება ამ ჟამად ინდოეთში. სიმლიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ აფრიდებმა და ორაქსებმა აჯანყება მოახდინესო. ამ ორეულობათა და აჯანყების მიზეზად ავღანის ემირს ასახელებენ, რომელიც ვითომ ძალად აღელვებს ხალხს ინგლისელების წინააღმდეგ. ეს ხმები სიმართლეს მოკლებული არ უნდა იყოს, რადგან ინდოეთის მთავრობამ ჯარი სხვა-და-სხვა კუთხითგან ჩრდილო-დასავლეთისკენ, ავღანის საზღვრისკენ გადაიყვანა. ზოგი გაზეთები იმასაც ამბობენ, რომ ავღანის ემირსა და ოსმალეთის სულთანს დიდი კავში აქვთ ერთმანეთში და ემირი ამ უკანასკნელის დარიგებითა და შთაგონებით ჰმოქმედებს ინგლისის წინააღმდეგაო. ამ გაზეთების სიტყვით, სულთანმა ინგლისს ევროპაში რომ ველარაფერი მოუხერხა, ინდოეთში გადაიტანა მოქმედების ასპარეზი და ემირის შემწეობით ინგლისის სხვა-და სხვა ქვეშევრდომი ხალხი ააღელვაო.

**ისპანია.** კანოვასის მკვლელობამ ისპანიისა და საფრანგეთის პოლიცია ფეხზე დააყენა. გამოძიებამ აშკარად დაამტკიცა, რომ შეთქმულება ყოფილა ანარქისტებისა, რომელთაც აზრად აქვთ საქმე მარტო კანოვასით არ გაათავონ და სხვებსაც მიჰყონ ხელი. ანჯოლილოს გამოკითხვის დროს, როდესაც გამომძიებელს უთქვამს, რომ ანარქისტები ასეთის მკვლელობით ვერ განახორციელებენ თავიანთ სურვილსაო, ანჯოლილოს წამოუძახნია: „დარწმუნებული ხართ? ჩვენ რომ ერთის კაცის მოკვლა გვქონდეს მხედველობაში, მაშინ თქვენ მართალი იქმნებოდით, მაგრამ ჩვენ სახეში სხვებიცა გვყავს. ეხლა ჯერი ფორზედაა მიმდგარი, რომელსაც ისეთივე ბედი მოელის, როგორიც კარნოს ხვდა წილადაო.“ ეს ამბავი დეპეშით პარიჟში აცნობეს და პარიჟის პოლიციაც ძალზედ დაფაცურდა.

## დამაკვირდი

დღეს არის სიკვდილი მძიმე, თორემ ოდესმე არაფერია.

რუსული ანდაზა

***

ბრძენი თავის საუკუნეს წინ უსწრობს, გონიერი თან მისდევს, მზაკვა-

---

ჩხავილს. წიხლი უნდა მეკრა, მაგრამ სკამს წამოვდე და გადმოვაბრუნე.

— რა დაგემართა, მორტიმერ, ყმაწვილს გააღვიძებ.

— უნდა მენახა, ძლიერ ხომ არ ვიტკინე ფეხი.

— მაშ სკამიცა ჰნახე; მგონია, სულ ერთიანად დაიმსხრა. საწყალს კატასაც მოხვდა...

— ჰე, ჯანდაბას შენი კატა! რაში მენაღვლება!.. სულ იმის ბრალია, რომ მარიამი ძირს ჩაგზავნე,—აი, ეხლა მე უნდა გავწიო იმის მაგიერობა!

— მორტიმერ, მორტიმერ! არა გრცხვენიან, მაგას ამბობ! ნუ თუ სულ მცირე დავალება ვერ აგისრულებია ამ განსაცდელის დროს, როდესაც ბავშვი განწირულია...

— კარგი, გეყოფა, მითხარი, რაც გინდა. ზარის დარეკვით რა იქმნება. დიდი ხანია ყველასა სძინავს. სად არის ის რაღაც ბატის ქონი?

— ბუხრის თავზეა, ქვემოდ, ბავშვების ოთახში. მარიამი რომ გააღვიძო და ჰკითხო..

მოვიტანე ბატის ქონი და ჩავიძინე.

— მორტიმერ, ძლიერ მეცოდები, რომ გაწუხებ, მაგრამ ძლიერა ცივა. ბავშვს ქონი უნდა წავუსვა და მეშინიან არ გამიცივდეს. ცეცხლს ვერ დაანთებ? შეშა მზად არის ბუხარში. მოკიდების მეტი არა უნდა რა.

ბუხარი ავანთე და უსაზღვროდ მოწყენილი ჩამოვჯექი.

— მორტიმერ, ნუ ჰზიხარ ეგრე, შეგცივა!

ის იყო უნდა დავწოლილიყავი, რომ კვლავ მიბრძანა.

— მოიცა, ბავშვს წამალი დაალევინე!

დავალევინე. წამალმა ბავშვის სტომაქზედ იმოქმედა და ჩემმა ცოლმაც ამით ისარგებლა და თავით ფეხამდე ბატის ქონით დაზილა. კიდევ ჩამთვლიმა, მაგრამ ვინ დაგაძინა?

— მორტიმერ, საიდგანღაც უბერავს. უბერავს ნამდვილად. ამ ავადმყოფობისთვის გაცივებისთანა ცუდი არაფერია. მოდი, აკვანი ცეცხლთან გადავდგათ.

აკვანის გადადგმის დროს პატარა ფარდაგს ფეხი წამოვდე და გულმოსულმა ცეცხლში ჩავაგდე. ჩემი ცოლი ეცა ფარდაგს და პატარა ჩხუბიც მოგვივიდა. ცოტა ხანს შემდეგ სელის ლაფა მომატანინა და ბავშვს დაადო გულზედ.

ბუხარს, ხომ მოგეხსენებათ, ყურის გდება უნდა და ყოველ 20 წუთში ცეცხლის გასწორება, ეხლა წამლის დალევინება, მერე ლაფა, მერე ქაღალდზედ გაკრული ხარდალი... გათენებისას შეშა ჩაიწვა და სხვა ამომატანინეს.

— მორტიმერ, მგონია აცივდა. შეშის მოტანა ძნელია. თუ გეზარება, ისევ სელის ლაფა დავაკრათ ბავშვსა...

მეტი რა გზა იყო, წაველ შეშაზე და ამოვიტანე. მერე დავწექი და ხვრინვას მოვყევი, როგორც დაღალულ-დაქანცულ კაცს შეჰფერის.

გათენებისას ვიგრძენ, რომ ვიღაცა მხარზედ მეჭიდება. გამომეღვიძა. ცოლი თვალებ-ამღვრეული შემომცქერის და ძლივს-ღა ჰსუნთქავს.

— დასრულდა! დავიღუპენით! ბავშვი ოფლიანია! რა გვეშველება! რა უნდა ვქმნათ ეხლა!

— ღმერთო, როგორ შემაშინე! რა ვიცი, რა უნდა ვქმნათ! მოდი, ბუხარს ავხადოთ.

— ოჰ, შე სულელო! ეხლა ერთის წუთის დაკარგვა არ შეიძლება! წადი, მკურნალი მოიყვანე. გესმის, შენ თითონ წადი! ეხლავ აქ მოიყვანე, ან ცოცხალი ან მკვდარი!

საბრალო ავადმყოფი კაცი ლოგინიდგან წამოვაგდე და წამოვიყვანე. მკურნალმა დაჰხედა ბავშვსა და სთქვა, სრულებით არაფერი უჭირს საიმისოვო. მე ძლიერ გამეხარდა. ჩემს ცოლს-კი ეს ისე ეწყინა, თითქოს დიდი რამ შეურაცხება მიაყენესო. მკურნალმა სთქვა, სულ უბრალო რამ მიზეზი იქმნება რომ ახველებსო. ჩემმა ცოლმა კინაღამ სახლიდგან დაითხოვა. მკურნალმა მაინც თავისი არ დაიშალა და რაღაც წამალი დაალევინა. ბავშვს ხველა აუტყდა და პირიდგან ფიჭვის ხის ნამცეცი გადმოაგდო.

— ბავშვს არც ხუნაგი აქვს და არც არაფერი,—სთქვა მკურნალმა. უეჭველია, პირში ჯოხს ჩაიდებდა და ყელში ხის ნამცეცი გაეჩხირა. ეხლა აღარაფერი უჭირს. ბავშვი სრულიად კარგად არის.

— მჯერა,—ვუპასუხე მე.—მართლა და ფიჭვის წებო ძლიერ სასარგებლო რამ არის ბავშვის ზოგიერთ ავადმყოფობისთვის. აბა ჩემს ცოლსა ჰკითხეთ!

ჩემმა ცოლმა პასუხი არ მაღირსა და მედიდურად გავიდა ოთახიდგან. მას შემდეგ მხოლოდ ეს ერთი ამბავია ჩვენს ცხოვრებაში, რომელსაც არ ვიგონებთ ხოლმე. ამიერიდგან ცხოვრება ჩვენი მეტად წყნარი და მშვიდობიანია და არავითარი უთანხმოება აღარ მოგვდის.

(რადგანაც ძლიერ ცოტა ქმარი მოიპოვება ისეთი, რომ მისტერ მაკ ვილიამსისთანა დღე დასდგომოდეს, ამიტომ ამ მოთხრობის დამწერსა ჰგონია—ეს ამბავი ბევრისთვის მართლა რომ ახალი ამბავი იქმნებაო).

ა. ნ.

რა სიუჟნესა სმარცხვეს, ზღუზურა-კი იმას წინ დახეტიალებს.

ბოერნეფელდი

***

ვინც ურცხვ კეთილს ქმნისათვის მადლობის გარდახდასა თხოულობს, იგი მხოლოდ ვაჭარია კეთილისა.

დეუერსელი

## ბიბლიოგრაფია

იაკობ გოგებაშვილი. „Разборъ учебныхъ руководствъ по русскому языку“ ფასი 50 коп.

ყოველი საქმე მხოლოდ მაშინ შეიძლება განვითარდეს და აღორძინების გზას დაადგეს, როდესაც მისი მომქმედი ადამიანი იმას სიყვარულით ეპყრობა. სიყვარული საქმისა ცოტად თუ ბევრად უსათუოდ გადადის ამ საქმის საწარმოებელ იარაღის სიყვარულზედ. თუ თქვენ რაიმე საქმე გასიამოვნებთ, უსათუოდ ამ საქმეში მოსახმარი იარაღიც გიყვართ. ყველამ კარგად იცის, მაგალითებრ, როგორ ეტრფიალება თავისს იარაღს კარგი მონადირე. თოფი მისთვის ცოცხალი რამ არის, იგია მისი გამამხნევებელი, სულის ჩამდგმელი, გამარჯვების იმედი. ხშირად გაიგონებ მონადირისაგან, რომ ეს თოფი ჩემ შვილზედ ნაკლებ არ მიყვარსო. ასე უყვარს ჭიანური მეჭიანურესაც. ასევე ეტრფიალება თავისს იარაღს უბრალო მხვნელ-მთესველიც. მოსალოდნელია, რომ უფრო სიყვარულითა და შეგნებით უნდა ეპყრობოდეს თავისს სამოქმედო იარაღს ის, რომელიც შვილ-ირემსა-კი არ უსპობს სიცოცხლეს, ღვთაებრივ ქვესკნელს-კი არ აპობს, არამედ სწორედ ამ ზრდის არა ერთს თაობას. ლაპარაკი არ უნდა, რომ ცოტად თუ ბევრად საქმის წარმატება დამოკიდებულია იმისგან, თუ რამდენად შეგნებული და გამორკვეული აქვს მასწავლებელს თავისის მოქმედების საგანი და საშუალებანი, ესე იგი თვისი და მოსწავლეების ვითარება, მათი სულის მოთხოვნილებანი და ამის მიხედვით მოქმედობს. შეგნებული მოქმედება ყოველის საქმის წარმატების პირობაა. როდესაც ადამიანი თავისს მოქმედებას შეგნებით ეპყრობა, როდესაც მას კუპი არ უწერს კანონებს, მაშინ იგი თავისს ნაყოფ-ფს აფასებს, თავისს საქმესაც კარგად წაიყვანს და არც არავის დაანებებს თავისს წაბილწვას, საყვედურს საქმის გაუპატიურებას. სულ სხვაა, თუ კაცი საქმეს შეუგნებლად, უგულოდ ეკიდება. მაშინ, რასაკვირველია, ყოველი ღონე მოხვრილი სიოცე-კი გაიტაცებს, აიყოლიებს და ვინ იცის, რა ვნებას და ცუდს მოქმედებას არ ჩაიდენს. თუ ეს არა საზოგადოდ მართალია, მით უფრო მართალი იქნება იგი აღზრდის საქმეში, სადაც ჩვენის გავლენისა და მოქმედების საგანი ჩვილი არსებაა.

ყოველი დაკვირვებული და განვითარებული ადამიანი დამეთანხმება, რომ დღეს ჩვენში მეტის-მეტად მცირეა ნამდვილ პედაგოგთა რიცხვი. რასაკვირველია, ეგრედ წოდებულ პრაქტიკი პედაგოგები არა ერთია, მაგრამ მათგან ბევრს არაფერს უნდა მოელოდეს კაცი. ისინი უკვე დაადგნენ ერთხელ გაკვალულ ვიწრო გზას და ამ გზაზედ ისე დახეტიალე-ნენ, რომ გამოუცდელ ადამიანს თავსაც-კი მოაწყინებენ. მაგრამ პრაქტიკულ გამოცდილებასთან შესაფერი თეორიული ცოდნაც რომ ჰქონდეთ, შეძლება მისცეს თავისი პრაქტიკული მოქმედება თან და თან გააუმჯობესოს, ეს თავისი ნაბიჯი დააფასოს და ამ გვარად თავისს მოღვაწეობაში შეიტანოს სინათლე, — ამისთანა მასწავლებელთა რიცხვი-კი მეტის-მეტად ცოტაა. ამიტომაც დიდის სიხარულით უნდა მივეგებეთ იმისთანა წიგნს, რომელიც ჩვენ თეორიულ ცოდნას აფართოებს, მით უმეტეს ვამართებთ, თუ ეს წიგნი არის დაწერილი მეცნიერულად, საფუძვლიანად ლიტერატურა, ფსიხოლოგიური და სხვა მეცნიერების მიერ შემუშავებული კანონებზე. ბ-ნ გოგებაშვილის წიგნის სათაური რომ წაიკითხოთ, პირველად გეგონებათ, რომ იგი წარმოადგენს უბრალო დიდაქტიურ ვარჯიშობას, გარჩეული ცალკე სახელმძღვანელოებისა, ერთი ებიო და გათავდა. მაგრამ შესცდება. ბ. გოგებაშვილმა აირჩია სწორედ მოსაწონი გზა. იმან პრაქტიკულად გაგვაცნო არა ერთი პედაგოგიური დედა-აზრი. ეს დედა-აზრნი ცალკე რომ დაეწერა, თხზულება უფრო მშრალი იქნებოდა. ახლა-კი იმან ერთსა და იმავე დროს ორ საგანს მიაღწია. აწ მომქმედი სახელმძღვანელოებიც გაგვაცნო და არა ერთი პედაგოგიური დედა-აზრიც შეგვათვისებინა. რა დედა-აზრებია ეს დედა-აზრებიო? იკითხავთ. ჩვენ არ შეგვიძლიან აქ სავსებით გავაცნოთ მკითხველს ბ-ნ გოგებაშვილის მიერ წამოყენებული პედაგოგიური დედა-აზრნი, მაგრამ ჩვენის აზრით, ეს მცირე წერილიც მოგვცემს შეძლებას ნათლად წარმოვიდგინოთ ბ-ნი გოგებაშვილის მიმართულება და პედაგოგიური შეხედულობა. საქმე იმაშია, რომ ყოველს ადამიანს, რომელსაც უკვე შემუშავებული აქვს შეხედულობა ცხოვრების შესახებ, გამორკვეული აქვს თავისი მიმართულება, ყოველთვის ერთი დედა-აზრი აქვს და სხვა მისი აზრები არამც თუ არ ეწინააღმდეგება ამ დედა აზრს, არამედ თავისის მნიშვნელობისა და გვარად, გარს ეხვევა მას და უფრო დიდს ძალასა და სიმტკიცეს აძლევს. ამიტომაც ჩვენ გავაცნობთ მკითხველს ბ-ნ გოგებაშვილის რწმენისა და დაბეჯითების ქვა-კუთხედს.

ჩვენის სკოლების დღევანდელ საჭირ-ბოროტო საგანს შეადგენს სახელმწიფო და დედა-ენის ურთიერთი დამოკიდებულება პირველ დასაწყისს სწავლის დროს. ბ-ნი გოგებაშვილი თავიდგანვე შენიშნავს, რომ, როცა ადგილობრივ და სახელმწიფო ენის შორის დიდი განსხვავება არაა, მაშინ უკუღმართი, ანტიპედაგოგიური სწავლება კიდევ იმდენად შესამჩნევი და საგრძნობელი არ არის, მაგრამ როდესაც სახელმწიფო და ადგილობრივ ენას შორის დიდი განსხვავებაა, მაშინ თუ მრუდე გზას დავადექით, ამას მეტის-მეტად სამწუხარო და არა სასურველი შედეგი ექნებაო. მაშასადამე, პედაგოგი დიდს მნიშვნელობას აძლევს სამშობლო, დედა-ენას. ჩვენს „განათლებულ საზოგადოებას“ დაახლოვებითაც არა აქვს, საუბედუროდ, წარმოდგენილი, თუ რა მნიშვნელობა აქვს ადამიანისა და ერის განვითარებაში სამშობლო ენას. პირ-იქით, საღის შეხედულობის მქონე ხალხი — „ძირითადის უკუღმართობის“ ავტორის აზრით, — ემორჩილება-რა ბუნებრივს მისწრაფებას, შესისხლ-ხორცებული აქვს თავისი დედა ენა, უყვარს, თავისის გონებისა და ქონების გასაუმჯობესებლად აუცილებელ საშუალებად მიაჩნია იგი და ძვირად აფასებს კიდეც. რატომაო? იკითხავთ. ბ-ნი გოგებაშვილი გიპასუხებთ შესანიშნავის პედაგოგის უშინსკის სიტყვებით: „ენა ხალხისა არის საუკეთესო, მუდამ დაუჭკნობელი და მუდამ ახლად გაფურჩქნული ყვავილი მთელის მისის სულიერი ცხოვრებისა, რომლის დასაწყისი იკარგება ისტორიის წინანდელს წყვდიადში. ენაში იხატება მთელი ხალხი და მისი სამშობლო... ხალხის ენის ნათელ, გამჭვირვალე სიღრმეში იხატება არა მარტო ბუნება სამშობლო ქვეყნისა, არამედ მთელი ისტორია მისის სულიერის ცხოვრებისა. ხალხის ერთი თაობა სცვლის მეორეს, მაგრამ იმათის ცხოვრების ნაყოფი რჩება ენაში — მომავალ თაობათა სიმდიდრედ... ენა არის უცოცხლესი, უმდიდრესი და უმაგრესი კავშირი, რომელიც აერთებს მკვდარ, ცოცხალ და მომავალ თაობათ ერთ დიდებულ ისტორიულ ერთეულად. იგი არამც თუ გამოჰხატავს ხალხის ცხოვრებას, არამედ თვით ეს ცხოვრებაა. როდესაც ჰქრება ენა ერისა, ერიც აღიგვება პირისაგან ქვეყნისა. ამიტომაც ჩვენი დასავლეთის ძმები (სლავიანები: ბოლგარები, სერბიელები, ჩეხელები და სხვ.), რომელთაც არა ერთი ძალმომრეობა გადაატყდათ თავზედ მოსულის ხალხებისაგან, ბოლოს როცა ეს ძალმომრეობა შეეხო ენას, მაშინვე მიხვდნენ, რომ ახლა სწყდებოდა იმათის სიკვდილ სიცოცხლის ბედი. არც არის იმაზედ საშინელი, იმაზედ ძნელად ასატანი ძალმომრეობა, როგორიც ის, როცა სურთ წაართვან ერს მემკვიდრეობა, რომლის შექმნაშიაც მონაწილეობა მიუღია მისის წინაპრების უთვალავ-უანგარიშო თაობათ... წაართვით ხალხს ყველაფერი, ადვილად დაიბრუნებს, მაგრამ წაართვით ენა და მეორედ ვერას დროს ვეღარ შეჰქმნის მას; ახალის სამშობლოს გაჩენაც-კი შეუძლიან ხალხს, მაგრამ ენისა-კი — ვერას დროს. რაკი მოკვდება ხალხში ენა, ხალხიც მომკვდარია, მაგრამ თუ ადამიანის სული შეძრწუნდება, როცა ჰხედავს ერთის სიცოცხლემოკლე ადამიანის სიკვდილს, მაშ რა უნდა იგრძნოს მან, როდესაც სიკვდილის მსახვრელი ხელი შეეხება ადამის ხნის ისტორიულ ცხოვრების მქონე ერის პიროვნებას“ *).

(დასასრული იქნება)

## „ივერიის“ ფოსტა

**დ. ხ—ი ვ. ქ—ძეს.** თქვენის „ნაწყვეტებიდგან“ მხოლოდ ერთი დაიბეჭდება.

**ძ. ძ—ხი. რაფ. ჩ—ძეს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**სად. ხ—ა. ნ. ა—ნცს.** თქვენს ლექს ვერ დავბეჭდავთ.

**ძ. პ—სკი. გ. ხ—პირელს.** მაგისთანა ცრუ-ტერტერების ლაყბობას ყურადღებაც არ უნდა მიაქციოთ.

**სად. ა—ფა. მ. გ—ძეს.** თქვენ მიერ მოწერილი ამბავი დაგვიანებულია.

**მ—ონ. გ—ჩიას.** თქვენი ლექსი „დაწყება“, ვერაფერი დასაწყისია და სუ რომ თავი დაანებოთ მელექსეობას, ისა სჯობია.

*) ამოწერილია „Раз. уч. рук.“-დგან, გვ. 48.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

9 აგვისტო

**პეტერბურგი.** უნდა ვიფიქროთ, რომ მთლად რუსეთის პროვინციის ჟურნალ-გაზეთები მხარს არ აუქცევენ და რუსეთის ყველა კუთხეებიდგან დეპეშებით სატახტო ქალაქების ჟურნალ-გაზეთების ნადიმზედ, რომელიც უნდა მოხდეს 11 აგვისტოს, თვიანთ სიხარულს განაცხადებენ ძვირფასის სტუმრების და მოკავშირეთა ჩვენ მამა ხელმწიფესთან მოსვლის გამო.

**ლონდონი.** სიმლიდგან იუწყებიან: „გენერალმა ბლედმა გალაგაის მიაღწია, მაგრამ არაფერი საწინააღმდეგო არ შეხვდა. წინანდელი ცნობანი აფრიდის ხალხის აჯანყების შესახებ გაზვიადებული გამოდგნენ.

**ლონდონი.** „Dailu Nevs“-ს დეპეშით ატყობინებენ თავრიზიდგან: ქურთები ოსმალეთ-სპარსეთის საზღვარზედ შეესივნენ სალმასის ოლქს, რომელიც სპარსეთის სამფლობელოშია, სრულიად გაძარცვეს და გაანადგურეს სომხების ორი სოფელი და 200 კაცი ქრისტიანე და მაჰმადიანი მოჰკლეს. სპარსეთის მთავრობა ჯარსა ჰგზავნის.

**სან-სებასტიან.** 8 აგვისტოს, დილის 11 საათზედ, ანჯილილო სიკვდილით დასჯილ იქმნა.

პეტერბურგის ბირჟა, 8 აგვისტო

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | „ — | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 205 1/2 |
| 4 1/2% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 100 5/8 | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99 3/4 | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99 5/8 | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 99 1/4 | — „ | — „ |
| % პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 286 1/2 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 246 1/2 |

## წერილი რედაქციის მიმართ

გიორგი ქართველიშვილმა გადმომცა თვისი ძვირფასი გამოცემა „ვეფხის ტყაოსანი“ მამა დავითის სამრევლო ქალთა სკოლის წიგნთ-საცავისათვის. ეს წიგნი უკვე გადავეცი დანიშნულებისამებრ და დიდს მადლობას ვუცხადებთ ამ შემოწირულებისათვის, რომელიც პირველი არ არის ბ-ნ გ. ქართველიშვილისგან.

კნიაჟნა ნინო თარხნიშვილი


# განცხადებანი

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

**კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა**

**ბ. მ. მირიმანიანისა**

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.

(20)

# ფოთის ქალაქის გამგეობა

აცხადებს საცნობელად, რომ ხუთშაბათს, 21 აგვისტოს ამა 1897 წლისას, დღის 12 საათზედ, მის თანადასწრებით, ქ. ფოთში იქმნება უსათუო პირადი ვაჭრობა ასაშენებლად ქ. ფოთში **ხის ხიდისა რკინის ბოძებზედ** მდინარე რიონის სამხრეთის ტოტზედ, 22,200 მ. ღირებულისა. რკინის ბოძები და კოჭები (ბალკები) ქალაქისაგან უფასოდ მიეცემა იჯარადარს. დასაუზრუნველად ვალდებულებათა, რომელთაც მიიღებს თავის თავზედ იჯარადარი, მოეთხოვება ბეთ **ათი პროცენტი** საიჯარო ფულიდამ ნაღდად ანუ რუსეთის სახელმწიფო სარგებლიანის ქაღალდებით, ანუ მართებლობისაგან ნათავდებები აქციებით და ობლიგაციებით, აგრეთვე სხვა ბილეთებით, რომელთა ბეთ მიღება მართემლობისაგან ნება დართულია სახელმწიფო იჯარების დროს. პირობები (კონდიციები), პროექტი, გეგმა და ხარჯთ აღრიცხვა, რომელნიც კი საჭირონი არიან წარსადგენად ვაჭრობის დროს, შეუძლიანთ გასინჯონ ფოთის ქალაქის გამგეობაში სადა დღეებში 9 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(3—6.—3) ფოთის ქალაქის გამგეობა.


Дозволено цензурою, Тифлисъ 8-го Августь 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.